მარიამ

ნასყიდაშვილი

18 წლის

558 00 55 59

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

პირველი კურსი

marikunanaskidashvili@gmail.com

- აიღე და დალიე, დამიჯერე, ტკივილს გაგიყუჩებს!

- არ მინდა...

- აიღე-მეთქი! მეჩქარება! - პატარა, ვარდისფერი აბები მუჭში ჩამიყარა და 70-იანი წლების "დივასავით" გამოწყობილი კართან შეჩერდა - დღეს გვიან მოვალ, მეცადინეობას არ გადაყვე და გამოიძინე, ჩაო!

მეგობარი ღიმილით გავაცილე და ლეპტოპთან მომარაგებულ წიგნებსა და კონსპექტებს გავხედე, შემდეგ წამალი გადავყლაპე და ჭერზე გაკრულ ძველებურ პოსტერებს თვალი გავუშტერე...

მეგონა, ფიქრებში მხოლოდ თხუთმეტ წუთს გავერთე, მაგრამ როცა ოქროსფერი მზის სხივები ჩემს სახეზე აცეკვდნენ და სიზმრების სამყაროდან გამომიხმეს, ძველებური საათი დილის ექვსს აჩვენებდა.

- ღმერთო ჩემო, ნუთუ ასე მალე ჩამეძინა? - რიტორიკულად ვიკითხე და მობილურს დავწვდი, თუმცა მის მაგივრად ხელში პატარა ბუკლეტი შემრჩა - ეს რაღაა?

კალენდარზე 1969 წლის 15 აგვისტო იყო მონიშნული. თვალები მოვიფშვნიტე და საწოლიდან წამოვვარდი... თავბრუსხვევა ვიგრძენი და, ალბათ, წავიქცეოდი, უცბათ ვიღაცას რომ არ დავეჭირე...

- ფრთხილად! დღეს ცუდად გახდომის დრო არაა!

თავი ავწიე და კივილი აღმომხდა:

- სტივი? სტივი ნიქს? - ვუყურებდი და თვალებს ვერ ვუჯერებდი - აქ საიდან გაჩნდი?

სტივიმ უცნაურად შემომხედა და სახიდან თმა გადამიწია:

- მე? მე ხომ ყოველთვის აი, აქ ვიყავი - ხელი თავზე დამადო - ახლა კი წავედით!

- სად? რა ხდება? - ოთახი ჩემ ირგვლივ ბრუნავდა და თითქოს "ალისას სინდრომი" მქონდა - ნივთები ხან დიდდებოდნენ და გრძელდებოდნენ, ხანაც - პატარავდებოდნენ და ფართოვდებოდნენ.

- რა თქმა უნდა, ვუდსტოკში! ფესტივალს ხომ არ გამოვტოვებთ, არა? - სიცილით მითხრა სტივიმ და აბრეშუმის ხალათი შემომაცვა - შეხვედრამდე!

სანამ რამეს ვიტყოდი, "ფლიტვუდ მაკის" ვარსკვლავმა ხელი მკრა და ფანჯრიდან გადმომაგდო. ცაში მივფრინავდი და ყველაფერი ზედმეტად მკვეთრი, ფერადი მეჩვენებოდა; ვყვიროდი, მაგრამ ხმა არ ამომდიოდა... გარშემო სხვადასხვა სიხშირის უხეში და ამავდროულად სასიამოვნო ბგერები მესმოდა... რაღაც მაგარსა და ბრწყინვალეზე დავეცი...

- ნეტავ, სად ვარ? მოვკვდი? - წამოვდექი და ხალათი გავისწორე - მშვენიერია! სამუდამო

განსასვენებელში საძინებლის ხალათით დავმკვიდრდი!

- გოგონა, ვის ეჩხუბები და რატომ არ მოდიხარ?

- უკაცრავად, სად ვარ?

- კარგად დააკვირდი...

ჩემ წინ ისე, როგორც პრიზმაში სინათლის გატარების დროს, შვიდი ფერი გაიშალა... ვიდექი და ვერაფერს ვაკეთებდი, მეგონა, გავგიჟდი.

- აბა, არ მოდიხარ?

- მგონი სიცხე მაქვს... - უკონტროლო სიცილი ამივარდა - აშკარად ჰალუცინაციებია.

ვიღაცამ მხრებზე ძლიერად დამკრა და ცისარტყელაზე ჩამასრიალა. მხოლოდ ახლა, როცა ამ არანორმალურობას შევეგუე და ყვირილისგან ყელიც მეტკინა, შევხედე ჩემს თანამოსაუბრეს და ინტერესით ვკითხე:

- სიდჰართა?

ინდოელმა პრინცმა გამიღიმა და ხელი დამიქნია:

- მიცანი? მე ბუდას სახესხვაობა ვარ - ბჰაიაჯია გურუ.

- მკურნალი ბუდა - ვთქვი ჩემთვის, ხმამაღლა კი დავამატე - შეგიძლია მიმკურნალო?

- სრულიად ჯანმრთელი ხარ, ავადმყოფობისა არაფერი გეტყობა...

- სად ვართ? უფრო სწორად, სად მივდივართ?

- დროში ვმოგზაურობთ.

- ანუ, მოვკვდი და სამეცნიერო ფანტასტიკის ნაშრომებში როგორცაა, უსასრულობაში გავიჭედე?

ბუდამ არ მიპასუხა, მხოლოდ გვერდით მიმახედა.

- როგორც იქნა, ჩვენც შეგვამჩნიე! - ჩიპი და დეილი კალთაში ჩამიხტნენ.

- თქვენ მაინც ხომ არ არსებობდით სინამდვილეში, რა ხდება!

უცბათ ცისარტყელა გაქრა და ისევ ვარდნა დავიწყე... გარშემო ვარსკვლავები მეხვეოდნენ, მზე მარგალიტის ყელსაბამს ისწორებდა, ხოლო მასთან ველოსიპედით მიმავალი მთვარე ფარცხუნით ისწორებდა ერკიულ პუაროსავით ხშირ ულვაშებს. სახით ყვავილებისგან დამზადებულ ხალიჩაზე დავეცი და წამომჯდარმა დავინახე, მდინარეს მივყვებოდი. მოულოდნელად ჩანჩქერში გადავეშვი...

- გაიღვიძე? - გვერდით ჩემი მეგობარი მეჯდა - ბოდიში, საყვარელო, თავის ტკივილის წამლის მაგივრად რომელიღაც ჰალუცინოგენი მომიცია...

სახეზე ხელები ავიფარე და სიცილი დავიწყე:

- არაუშავს, სამაგიეროდ ვიცი, კონკურსისთვის რაზეც უნდა დავწერო...